არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

„საქართველოს მომავლის აკადემიის“ წესდება

თბილისი

3 აგვისტო, 2023

1. ზოგადი დებულებები

1.1. ა.(ა).ი.პ. „საქართველოს მომავლის აკადემია“ - (ს/ნ: 405113755), (შემდგომში „აკადემია“) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. აკადემიის სახელწოდებაა: ა.(ა).ი.პ. „საქართველოს მომავლის აკადემია“, ინგლისური სახელწოდება: “Georgia’s Future Academy”.

1.4. აკადემიის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

1.5. აკადემია მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ნორმების და ამ წესდების შესაბამისად.

1.6. აკადემია არ წარმოადგენს წევრობაზე დამოკიდებულ/დაფუძნებულ არასამეწარმო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

1.7. აკადემიას გააჩნია საკუთარი ქონება, აგრეთვე ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში. აკადემია უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, დადოს ხელშეკრულებები, კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს ფილიალები, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგოს მისი აქტივები, საქართველოს კანონმდებლობის და ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო/ეკონომიკურ საქმიანობაში აკადემიის ამოცანების განხორციელების მიზნით, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე არბიტრაჟსა და სასამართლოში წარმოების ნებისმიერ სტადიაზე.

1.8. აკადემიის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება აკადემიის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მისიისა და მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

1.9. აკადემია თავისი დამფუძნებლ(ებ)ის, აგრეთვე მმართველი საბჭოს წევრებისა და წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისგან დამოუკიდებელია. აკადემის ქონება შემოიფარგლება მისი ქონებით. აკადემიის ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებელ(ებ)ი, მმართველი საბჭოს წევრები და წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ.

2. აკადემიის მისია, მიზნები და საქმიანობის ფორმები

2.1. აკადემიის მისიაა: განვითარებული, თანამედროვე და წარმატებული საქართველოს ჩამოყალიბება.

2.2. აკადემიის მისიიდან გამომდინარე მისი საქმიანობის მიზნებია:

2.2.1. ახალგაზრდების ინტელექტუალური განვითარება და მათთვის თანამედროვე მსოფლიოში წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნის მიწოდება;

2.2.2. ახალგაზრდების არაფორმალური განათლებით მათში წარმატებისთვის საჭირო სხვადასხვა უნარის განვითარება, რაც ამჟამად სათანადო დონეზე მასობრივად ვერ ხერხდება;

2.2.3. ახალგაზრდებში კრიტიკულ-ანალიტიკური დისკუსიის კულტურის დამკვიდრება ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით;

2.2.4. ახალგაზრდების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა საერთაშორისო ღონისძიებებში უცხოელ თანატოლებთან კომუნიკაციის ინტენსივობის გასაზრდელად;

2.2.5. ახალგაზრდებში აქტიური მოქალაქეობის იდეის პროპაგანდა და სამოქალაქო ჩართულობის მხარდაჭერა, მათთვის დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მნიშვნელობის გააზრების ხელშეწყობა;

2.2.6. ახალგაზრდებისთვის წარმატებული თანამედროვე სახელმწიფოს იდეის მიწოდება და ამ მიმართულებით კრიტიკული დისკუსიის წარმართვის ხელშეწყობა;

2.2.7. ახალგაზრდებში განსხვავებულობის მიმართ ტოლერანტობის დანერგვა და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანთა უფლებების დაცვისა და პატივისცემის მნიშვნელობის განმარტება;

2.2.8. ახალგაზრდებისთვის მოხალისეობის იდეის მნიშვნელობის ახსნა და მისი პოპულარიზება.

2.3. აკადემია საკუთარი მისიისა და მიზნების მისაღწევად:

2.3.1. ეწევა საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას, ატარებს სხვადასხვა სახის პროექტებს: დებატების ჩემპიონატს, ლექციებს, სკოლებს, კონფერენციებს, სემინარებს, ტრენინგებს, მოდელირებებს, ოლიმპიადებს, ტურნირებსა და ა.შ.;

2.3.2. ეწევა სამეცნიერო, საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;

2.3.3. ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე დისკუსიის გამართვას;

2.3.4. ახორციელებს სხვადასხვა სახის საქველმოქმედო და მოხალისეობრივ ღონისძიებებს;

2.3.5. მონიტორინგს უწევს საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებს და ქვეყანაში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვან პროცესებს;

2.3.6. თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

2.3.7. ახდენს ქონების დაგროვებას საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობის ხელშეწყობისათვის;

2.3.8. გასცემს გრანტს;

2.3.9. ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

2.4. აკადემია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს მისი მისიისა და მიზნების

რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება დამფუძნებელ(ებ)ს, მმართველი საბჭოს წევრებს და წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირს (პირებს) შორის დაუშვებელია.

2.5. აკადემია თავისი მისიიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

3. აკადემიის დამფუძნებელთა კრება

3.1. დამფუძნებელთა კრება წარმოადგენს აკადემიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს.

3.2. დამფუძნებელი იტოვებს უფლებას ჰქონდეს წვდომა აკადემიის ნებისმიერ დოკუმენტთან და აკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციასთან

3.3. დამფუძნებელთა კრება უფლებამოსილია:

3.3.1. შეიტანოს ცვლილებები ან ახალი რედაქციით დაამტკიცოს აკადემის სადამფუძნებლო შეთანხმება ან/და წესდება.

3.3.2. ნიშნავს და ათავისუფლებს მმართველი საბჭოს წევრებს საკუთარი შეხედულებისამებრ.

3.3.3. იღებს გადაწყვეტილებას აკადემიის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ.

4. მმართველი საბჭო

4.1. აკადემიის მმართველი საბჭო წარმოადგენს აკადემიის მმართველობით ორგანოს.

4.2. მმართველი საბჭო შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 15 წევრისა, რომლებსაც საკუთარი შეხედულებისამებრ ამტკიცებს აკადემიის დამფუძნებელთა კრება. თითოეული წევრის უფლებამოსილების ვადაა: 2 წელი. წევრი შეიძლება ნებისმიერ დროს გამოწვეული იქნას დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით ვადაზე ადრე.

4.3. მმართველი საბჭოს საქმიანობას უძღვება **<u>საბჭოს თავმჯდომარე</u>,** რომელსაც 2 წლის ვადით საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს მმართველი საბჭო.

4.4. მმართველი საბჭოს სხდომა უნდა გაიმართოს მინიმუმ წელიწადში ოთხჯერ - კვარტალში ერთხელ. სხდომების რაოდენობა არ არის შეზღუდული.

4.5. აკადემიის დამფუძნებელ(ებ)ს და საბჭოს წევრებს, სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

4.6. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები თუ მას ესწრება წევრთა უბრალო უმრავლესობა.

4.7. საჭიროების შემთხვევაში აკადემიის დამფუძნებელს ან საბჭოს წევრთა უბრალო უმრავლესობას ან აკადემიის აღმასრულებელ დირექტორს უფლება აქვთ მოითხოვონ საბჭოს რიგგარეშე სხდომის დანიშვნა, დღის წესრიგის მითითებით. მოთხოვნა

ეგზავნება საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც სხდომას ნიშნავს მოთხოვნიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში. თავმჯდომარის მიერ სხდომის არ მოწვევის შემთხვევაში მას იწვევს და ატარებს კრების ჩატარების ინიციატირი პირ(ებ)ი.

4.8. მმართველი საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით. საბჭოს წევრებს სხდომაში მონაწილეობის მიღება ასევე ტელეფონით ან ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების გამოყენებით შეუძლიათ. ხმათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში მიღებულად ჩაითვლება ის გადაწყვეტილება, რომელსაც ხმა დაუჭირა საბჭოს თავმჯდომარემ.

4.9. მმართველი საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას აკადემიაში საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4.10. მმართველი საბჭოს წევრს ეკრძალება პოლიტიკური პარტიის წევრობა. პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანების შემთხვევაში ის ვალდებულია შეატყობინოს აკადემიის დამფუძნებელთა კრებას გაწევრიანებიდან ორი კვირის ვადაში

4.11. მმართველი საბჭო:

4.11.1. ამტკიცებს აკადემიის სიმბოლიკას.

4.11.2. შეიმუშავებს და ამტკიცებს აკადემიის განვითარების კონცეფციას წესდებაში მითითებული მისიის, მიზნებიდან და საქმიანობის მიმართულებებიდან გამომდინარე.

4.11.3. აკადემიის მიმართ განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირებს ანიჭებს საპატიო წევრის წოდებას.

4.11.4. ირჩევს და ათავისუფლებს მმართველი საბჭოს თავმჯდომარეს.

4.11.5. ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის აღმასრულებელ დირექტორს.

4.11.6. აღმასრულებელი დირექტორის წარდგენით ამტკიცებს აკადემიის წლიურ სამოქმედო გეგმას არაუგვიანეს ყოველი წლის დეკემბრის თვისა.

4.11.7. ამტკიცებს აკადემიის შინაგანაწესს, შიდა კონტროლისა და პროცედურული საკითხების სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს.

4.11.8. ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მუდმივ კონტროლს. საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია მოიწვიოს აღმასრულებელი დირექტორი მმართველი საბჭოს სხდომაზე.

4.11.9. კვარტალურად ისმენს აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს აკადემიის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით.

4.11.10. ახორციელებს აკადემიის აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის კონტროლს. აკადემიის წესდების დარღვევის შემთხვევაში აფრთხილებს მათ ან/და მმართველი საბჭოს წევრთა უბრალო უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მათი დაკავებული თანამდებობიდან მოხსნის შესახებ.

5. აკადემიის აღმასრულებელი დირექტორი

5.1. აკადემიის აღმასრულებელი დირექტორი არის აკადემიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე ერთადერთი ფიზიკური პირი. აღმასრულებელი დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს მისი ბრძანებით განსაზღვრული პირი.

5.2. აღმასრულებელი დირექტორი არაუგვიანეს ყოველი წლის 15 დეკემბრისა მმართველ საბჭოში დასამტკიცებლად წარადგენს აკადემიის მომავალი წლის სამოქმედო გეგმას. წარდგენილი სამოქმედო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს აკადემიის განვითარების კონცეფციას.

5.3. აღმასრულებელი დირექტორი ახორციელებს აკადემიის საერთო ხელმძღვანელობას. ის პასუხისმგებელია მმართველი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების აღსრულებაზე.

5.4. აღმასრულებელი დირექტორი აკადემიის სახელით დებს ხელშეკრულებებსა და გარიგებებს.

5.5. აღმასრულებელი დირექტორი აწერს ხელს მემორანდუმებსა და შეთანხმებებს ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სპონსორებთან და ხელისუფლების ორგანოებთან მმართველ საბჭოსთან შეთანხმებით.

5.6. აღმასრულებელი დირექტორი განკარგავს აკადემიის ფინანსურ ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში და სხვა ფინანსურ რესურსებს. დამფუძნებელთა კრების ან მმართველი საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში წარადგენს ანგარიშს აკადემიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

5.7. აღმასრულებელი დირექტორი განკარგავს აკადემიის ქონებას.

5.8. აღმასრულებელი დირექტორი წელიწადში ოთხჯერ - კვარტალში ერთხელ - წარადგენს მმართველ საბჭოში ანგარიშს აკადემიის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

5.9. წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება დამფუძნებელთა კრების ან/და მმართველი საბჭოს კომპეტენციას.

5.10. აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია დაიცვას აკადემიაში საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა

5.11. აღმასრულებელ დირექტორს ეკრძალება აკადემიის მმართველი საბჭოს წევრობა.

5.12. აღმასრულებელ დირექტორის ეკრძალება პოლიტიკური პარტიის წევრობა. პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანების შემთხვევაში ის ვალდებულია მიმართოს აკადემიის მმართველ საბჭოს გაწევრიანებიდან ორი კვირის ვადაში.

6. აკადემიის ქონება

6.1. აკადემიას შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს სხვადასხვა უძრავ–მოძრავი ქონება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. აკადემიის ქონების და ფინანსური სახსრების წყაროს შეადგენს: ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობანი, გრანტები და სხვა სახის კანონიერი შემოსავლები, რომლებიც მოიპოვება ორგანიზაციის მიერ მისი ამოცანების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

6.3. დაუშვებელია აკადემიის ქონების განაწილება დამფუძნებელ(ებ)ს, მმართველი საბჭოს წევრებს, აღმასრულებელ დირექტორს ან სპონსორებს შორის, ასევე ორგანიზაციის რესურსების არაკანონიერად გამოყენება.

6.4. აკადემიის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მისიისა და მიზნების განხორციელებას.

7. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

7.1. აკადემიის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია შესაძლებელია დამფუძნებელთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ან კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. ლიკვიდირებული აკადემიის ქონება უნდა გამოიხატოს ფულში და დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. დარჩენილი ქონება დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე გადაეცემა მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს ან პირებს.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

8.2. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება წინამდებარე წესდების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3. ამ წესდების რომელიმე ნორმის ძალადაკარგულად ან ბათილად გამოცხადება (ბათილად ცნობა), გავლენას ვერ იქონიებს მთლიანი წესდების იურიდიულ ძალაზე.